

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი  
საბჭოს 2011 წლის 10 მაისის სხდომის

ოქმი №12

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი  
შემადგენლობის 35 წევრიდან, ესწრებოდა 24. სხდომას უძღვებოდა სტუ-  
სტარტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ.  
დანართი) და კენჭისყრაზე დაყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-  
სტარტის უფლებამოსილების შესახებ.

**პროფ. გიორგი აბრამიშვილი:** წარმოგიდგენთ აკადემიური საბჭოს №445  
დადგენილებას:

2011 წლის 11 მაისიდან, უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან  
დაკავშირებით, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტების დეკანები: ზურაბ გედენიძე  
(სამშენებლო ფაკულტეტი), გია არაბიძე (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის  
ფაკულტეტი), ანზორ აბშილავა (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი), ნუგზარ  
წერეთელი (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი), ოთარ  
გელაშვილი (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი), გოჩა  
მიქიაშვილი (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი),  
რუსუდან ქუთათელაძე (ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი), ხოლო 2011 წლის 18  
მაისიდან ზურაბ წვერაძე (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი)  
გათავისუფლდნენ დეკანების ადმინისტრაციული თანამდებობებიდან;

დეკანების არჩევნები ჩატარდეს თანდართული გრაფიკის მიხედვით (იხ.  
დანართი);

ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელოს და შეარჩიოს არჩევნების დამთავრებამდე  
დეკანის ფუნქციების შემსრულებლის კანდიდატურა;

ფაქულტეტის საბჭომ შეიმუშაოს დეპანის ფუნქციების შემსრულებლის შერჩევის რეგლამენტი;

არჩევნები ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების და „მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ სტუ-ს დებულების შესაბამისად.

არჩევნების ჩატარების გრაფიკი ასეთია: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაქულტეტზე არჩევნები გამოცხადდება 2011 წლის 18 მაისს, დანარჩენ 7 ფაქულტეტზე კი მიმდინარე წლის 11 მაისს. რეგისტრაციის ვადებია 2011 წლის 8 აგვისტოდან 29 აგვისტომდე, ხოლო არჩევნები ჩატარდება 2011 წლის 28 სექტემბერს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს დეკანების უფლებამოსილების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება №445.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №445, კერძოდ:

1. 2011 წლის 11 მაისიდან, უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტების დეკანები: ზურაბ გედენიძე (სამშენებლო ფაკულტეტი), გია არაბიძე (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი), ანზორ აბშილავა (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი), ნუზ ზარ წერეთელი (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი), ოთარ გელაშვილი (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი), გოჩა მიქაშვილი (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი), რუსუდან ქუთათელაძე (ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი), ხოლო 2011 წლის 18 მაისიდან ზურაბ წვერაიძე (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი) გათავისუფლდნენ დეკანების აღმინისტრაციული თანამდებობებიდან;
2. დეკანების არჩევნები ჩატარდეს თანდართული გრაფიკის მიხედვით (იხ. დანართი);

3. ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელოს და შეარჩიოს არჩევნების დამთავრებამდე დეკანის ფუნქციების შემსრულებლის კანდიდატურა;
4. ფაკულტეტის საბჭომ შეიძუშაოს დეკანის ფუნქციების შემსრულებლის შერჩევის რეგლამენტი;
5. არჩევნები ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების და „მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ სტუ-ს დებულების შესაბამისად.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – „გარემოსდაცვითი ტრეინინგ-ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №430 – მომხსენებელი პროფ. გიორგი მჭედლიშვილი.

**პროფ. გიორგი მჭედლიშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს „გარემოსდაცვითი ტრეინინგ-ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი.** წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. გიორგი მჭედლიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „გარემოსდაცვითი ტრეინინგ-ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის დადგენილება №430.

**წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №430 სტუ-ს „გარემოსდაცვითი ტრეინინგ-ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – „მოლეკულური ფიზიკის ახალი წარმოდგენები მიკრო- და ნანოტექნოლოგიებში სამეცნიერო-ტექნოლოგიური სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №431 – მომხსენებელი პროფ. ალექსი გერასიმოვი.

**პროფ. ალექსი გერასიმოვი:** წარმოგიდგენთ საკითხს „მოლექულური ფიზიკის ახალი წარმოდგენები მიკრო- და ნანოტექნოლოგიებში სამეცნიერო-ტექნოლოგიური სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ალექსი გერასიმოვმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „მოლექულური ფიზიკის ახალი წარმოდგენები მიკრო და ნანოტექნოლოგიებში სამეცნიერო-ტექნოლოგიური სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის დადგენილება №431.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №431 სტუ-ს „მოლექულური ფიზიკის ახალი წარმოდგენები მიკრო და ნანოტექნოლოგიებში სამეცნიერო-ტექნოლოგიური სასწავლო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – „ეთნოკულტურული ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №432 – მომსხვეველი პროფ. გიორგი კოკოშაშვილი.

**პროფ. გიორგი კოკოშაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს „ეთნოკულტურული ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## გ ა დ ა ჭ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. გიორგი ქოქოშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „ეთნოკულტურული ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის დადგენილება №432.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №432 სტუ-ს „ეთნოკულტურული ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – „მიწისქვეშა სივრცეების ათვისების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №440 – მომსხვენებელი პროფ. ირაკლი გუჯაბიძე.

**პროფ. ირაკლი გუჯაბიძე:** წარმოგიდგენთ საკითხს „მიწისქვეშა სივრცეების ათვისების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი.** წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## გ ა დ ა ჭ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ირაკლი გუჯაბიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე „მიწისქვეშა სივრცეების ათვისების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 აპრილის დადგენილება №440.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა

აკადემიური საბჭოს დადგენილება №440 სტუ-ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე „მიწისქვეშა სივრცეების ათვისების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მექანიზმები – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების საფასურის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №441 – მომხსენებელი პროფ. ანზორ აბშილავა.

**პროფ. ანზორ აბშილავა:** მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, განხორციელდა სტუდენტთა მიღება და ამჟამად იქ 178 სტუდენტი სწავლობს. ამ მომენტისათვის მოსაგვარებელი დაგვრჩა ერთი საკითხი, რომელიც ეხება სტუდენტებისათვის კრედიტის დირექტულების განსაზღვრას. შეგახსნებთ, რომ სტუდენტების დაფინანსების 80%-ს იხდის სახელმწიფო, ხოლო დარჩენილ 20%-ს – სტუდენტები. გაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ ერთი კრედიტის ფასი განისაზღვროს 20 ლარის ოდენობით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მექანიზმები საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ანზორ აბშილავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების საფასურის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 აპრილის დადგენილება №441.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №441, კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-

ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების საფასური განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ კრედიტზე (ECTS) 20 ლარის ოდენობით.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – ზოგადი ქიმიის სასწავლო კურსში კომპიუტერული ტესტების შედგენის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №439 – მომხსენებელი პროფ. იური ლომიძე.

**პროფ. იური ლომიძე:** წარმოგიდგენთ საკითხს ზოგადი ქიმიის სასწავლო კურსში კომპიუტერული ტესტების შედგენის შესახებ.

გთხოვთ თანხმობას, რომ 2011-2012 სასწავლო წელს ზოგადი ქიმიის სასწავლო კურსში ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტებისათვის შესახებ შედგენის ტესტისა და დასკვნითი გამოცდების კომპიუტერული ტესტების შემუშავება-მომზადება ჩატარდეს შემდეგი წესით:

1. კომპიუტერული ტესტების შედგენაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებს ჩატარებული სამუშაო ჩატვალოთ აკადემიურ დატვირთვაში შემდეგი ოდენობით:

600-საათიანი აკადემიური დატვირთვის პროფესორს – 200სთ;

300-საათიანი აკადემიური დატვირთვის პროფესორს – 100 სთ.

2. კომპიუტერული ტესტების შედგენა დაევალოთ ქიმიური ტექნოლოგიების და მეტალურგიის ფაკულტეტის მიერ შერჩეულ პროფესორ-მასწავლებლებს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დაყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. იური ლომიძემ წარმოადგინა საკითხი ზოგადი ქიმიის სასწავლო კურსში კომპიუტერული ტესტების შედგენის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 აპრილის დადგენილება №439.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა

აკადემიური საბჭოს დადგენილება №439, კერძოდ, 2011-2012 სასწავლო წელს ზოგადი ქიმიის სასწავლო კურსში ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტებისათვის შუასემებსტრული ტესტირებებისა და დასკვნითი გამოცდების კომპიუტერული ტესტების შემუშავება-მომზადება ჩატარდეს შემდეგი წესით:

1. კომპიუტერული ტესტების შედგენაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებს ჩატარებული სამუშაო ჩაეთვალოთ აკადემიურ დატვირთვაში შემდეგი ოდენობით:  
600-საათიანი აკადემიური დატვირთვის პროფესორს -200სთ;  
300-საათიანი აკადემიური დატვირთვის პროფესორს -100 სთ.
2. კომპიუტერული ტესტების შედგენა დაუვალოთ ქიმიური ტექნოლოგიების და მეტალურგიის ფაკულტეტის მიერ შერჩეულ პროფესორ-მასწავლებლებს.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წერიგის მერვე საკითხი – სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად წარმოგიდგენთ 2010 წლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის ანგარიშს. როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ უკვე გამცანით აღნიშნულ ანგარიშს. თუ გაქვთ შეკითხები, მზად ვარ გიასუხოთ. ერთს კი მაინც დავამატებ, რომ წარმოდგენილია როგორც განვლილი 2010 წლის ფინანსური ანალიზი, ასევე სურათი სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმატებული მუშაობისა, რადგან 5 საქმე მოგებული აქვს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ხოლო 3 – წაგებული, რაც ძველი საქმეებია. ჩვენ მოგვიხდა ჯარიმების გადახდა და ეს ეხებოდა პროფესორების სამსახურიდან არასწორად განთავისუფლებას. ასევე წარმოდგენილია შესყიდვების განყოფილების სამუშაო, თან დართული აქვს დოკუმენტაცია.

**სპიკერი:** ქალბატონო ქეთევან, ეს არის 2010 წლის ანგარიში და მაინტერესებს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ არის თუ არა შემოწმებული ეს პერიოდი?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** არა, მხოლოდ 2010 წლის პირველ იანვრამდე მოხდა მათ მიერ დოკუმენტაციის შესწავლა.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ჩვენი აზრით, 2010 წელი არ იყო წარმატებული ფინანსური თვალსაზრისით. დაახლოებით 2 800 000 დააკლდა ბიუჯეტის

შესრულებას საშემოსავლო ნაწილში და ფასიანი სწავლებიდან 3 მილიონს გადააჭარბა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უფრო პრინციპული დონისძიებები უნდა ყოფილიყო გატარებული. ამ საკითხზე საუბარი გვქონდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და მან აგვისენა, რომ ამ მიმართულებით დაწყებულია სერიოზული სამუშაოები გასულ წელს არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დაყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ  
2010 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, 21-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინა მის მიერ 2010 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

საბჭოს მიაჩნია, რომ სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2009 წელს ჩატარებულია დიდი მოცულობის სამუშაო. 2010 წლის საანგარიშო პერიოდში სტუ-ს მთლიანმა შემოსავალმა, დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით, შეადგინა 27 327 046 ლარი. უნივერსიტეტში შეუფერხებლად გაიცემოდა ხელფასები და, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო გეგმით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარების და სასწავლო-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსება.

მიუხედავად გაწეული დიდი მუშაობისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დღემდე ვერ უზრუნველყო ეკონომიკური საქმიანობის გეგმაზომიერად წარმართვა და მისი ეფექტიანობის ამაღლება. აქავე უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობითმა საბჭომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არაერთგზის დაავალა ეკონომიკური საქმიანობის ამაღლების უზრუნველყოფის გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამის შემუშავება, მაგრამ დღემდე ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ არის გადადგმული.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციამ სათანადო მუშაობა ვერ გასწია 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესასრულებლად, რის შედეგად შემოსავლების გეგმის შესრულებას დააკლდა 2 848 078.13 ლარი. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ფასიან სწავლებიდან საბიუჯეტო

შემოსავლების გეგმის შერულების საქმეში. დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 23 864 050 ლარის ნაცვლად, მობილიზებულია მხოლოდ 20 713 493 ლარი, გარღვევამ შეადგინა 3 150 556 ლარი. მთლიანობაში შესრულებულია 2010 წლის ბიუჯეტის სარჯევითი ნაწილიც.

საბჭო ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ 2010 წლის ბიუჯეტში შემოსავლების შეუსრულებლობა განპირობებულია იმით, რომ უნივერსიტეტში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების უზრუნველსაყოფად ეფუქტიანი სისტემა.

სტუ-ს 2010 წლის საფინანსო საქმიანობა კონტროლის პალატის მიერ არ არის შემოწმებული.

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა თვითკრიტიკულად აფასებს 2010 წელს ჩატარებულ მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს და იძლევა მტკიცე დაპირებას იმის თაობაზე, რომ 2011 წელს უზრუნველყოფს ამ ნაკლოვანებების სრულად აღმოფხვრას, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილი ანგარიშის დამტკიცება.

#### სტუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2010 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.
2. ა) მიიღოს გადამჭრელი ზომები უნივერსიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ მუშაობას მისცეს გეგმაზომიერი და სისტემური ხასიათი. ამ საქმეში წინა პლანზე წამოწიოს დეკანების პასუხისმგებლობა.  
ბ) უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს უნივერსიტეტში ფასიანი სწავლებიდან გადასახადების ამოღების ერთიანი წესი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სწავლების საფასურის ამოღებაზე პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობას. დადგენილი წესის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის ყოველი ფაქტი გახადოს სპეციალური მსჯელობის საგანი.
- გ) როგორც წესი, კვარტალში ერთხელ წარმომადგენლობით საბჭოს გაუკეთოს ინფორმაცია 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხი – 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ სტუ-ს 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 4 აპრილის №09-1-20/5453 წერილისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს – 65000 ლარით, რომელიც განკუთვნილია ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დასაფინანსებლად;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №135 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხება „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების პროგრამას“ – „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“, გამოყოფილია – 58200 ლარი, რის შედეგად სტუ-ს 2011 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 58200 ლარით;
3. სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გრაფაში, სხვა ხარჯების მუხლის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის გადასახადის პუნქტიდან – 54258 ლარი გადატანილ იქნეს სტიპენდიების პუნქტში;
4. სტუ-ს პიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან – 70 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების პუნქტში;
5. სტუ-ს ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან, II, III, IV კვარტალებიდან – 240 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების პუნქტში, ხოლო ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან – II კვარტალის მე-4 და მე-5 თვეებიდან – 760 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერგიის ხარჯების პუნქტში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეცხრე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა ყ მ გ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ქეთეგან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

- წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი შემდგენ ცვლილები:
1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 4 აპრილის №09-1-20/5453 წერილისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს – 65000 ლარით, რომელიც განკუთვნილია ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დასაფინანსებლად;
  2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №135 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხება „განსაკუთრებით ნიჭიერი ბაგშებისა და ახალგაზრდებისათვის სტიანებისა და გრანტების მინიჭების პროგრამას“ – „პრეზიდენტის სტიანების ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“, გამოყოფილია – 58200 ლარი, რის შედეგად 2011 წლის სტუ-ს დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 58200 ლარით;
  3. სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გრაფაში, სხვა ხარჯების მუხლის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის გადასახადის პუნქტიდან – 54258 ლარი გადატანილ იქნეს სტიანების პუნქტში;
  4. სტუ-ს პიდროველობითისა და საინინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან – 70 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების პუნქტში;
  5. სტუ-ს კლადიმერ ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან, II, III, IV კვარტალებიდან – 240 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების პუნქტში, ხოლო ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან – II კვარტალის მე-4 და მე-5 თვეებიდან – 760 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერგიის ხარჯების პუნქტში.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეათე საკითხი – სტუ-ს სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება – მომსხენებელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი.

**პროფ. ქ. ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს თბილისში, კოსტავას ქ. №77-ში, I სართულზე არსებული 4 კვ.მ ფართის, ქსეროგრაფიული საქმიანობის მიზნით, გაიჯარების შესახებ, 2 წლის ვადით..

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეათე საკითხი.** წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სარგებლობაში გადმოცემული ფართობის იჯარით გაცემის შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა დამტკიცდეს სტუ-ს VIII სასწავლო კორპუსის (ქ.თბილისი, ქოსტავას ქN77) I სართულზე არსებული 4 კვ.მ ფართის იჯარით გაცემის საკითხი, ქსეროგრაფიული საქმიანობის მიზნით, 2 წლის გაღით.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი – სტუ-ს დამლაგებელთა ხელფასების მატების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს დამლაგებელთა ხელფასების მატების შესახებ, კერძოდ, დღევანდელი მდგომარეობით სტუ-ს კორპუსების დასუფთავებას ემსახურება 83 დამლაგებელი, რომელთა ხელფასი განისაზღვრება თვეში 270 ლარით (ჯამში თვიური ხელფასი – 22410 ლარი). გთხოვთ თანხმობას, რომ დამლაგებლის ხელფასი განისაზღვროს თვეში 315 ლარით (ჯამში თვიური ხელფასი – 26145 ლარი), რაც გამოიწვევს თვიური ხელფასის ფონდის ზრდას 3735 ლარით. დაფინანსება განხორციელდება 2011 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს დამლაგებელთა ხელფასების მატების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საკითხის სტუ-ს დამლაგებელთა ხელფასების მატების შესახებ, კერძოდ, დამლაგებლის ხელფასი განისაზღვროს თვეში 315 ლარით (ჯამში თვიური ხელფასი - 26145 ლარი), რაც გამოიწვევს თვიური ხელფასის ფონდის ზრდას 3735 ლარით. დაფინანსება განხორციელდეს 2011 წლის 1-ლი ივნისიდან დამტკიცებული ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების მუხლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტიდან.

**სპიკერი:** წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სტუდენტთა 2011 წლისათვის სასტიპენდიო ფონდის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №442 – მომსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ აკადემიური საბჭოს №442 დადგენილებას, კერძოდ:

- შეიქმნას 2011 წლის სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდი;
- სტუ-ს საკუთარი შემოსავლებიდან (333500 ლ.) და სახელმწიფო ბიუჯეტიდან (54258 ლ.) მოხდეს სოციალურად დაუკველი, სიღარიბის ზღვარს მიღმა ან/და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსება;
- ფონდს განკარგავს აკადემიური საბჭოს №406 დადგენილებით შექმნილი სპეციალური კომისია;

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ბ №12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სტუდენტთა 2011 წლისათვის სასტიპენდიო ფონდის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება №442.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №442, კერძოდ:

- შეიქმნას 2011 წლის სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდი;

2. სტუ-ს საკუთარი შემოსავლებიდან (333500 ლ.) და სახელმწიფო  
ბიუჯეტიდან (54258 ლ.) მოხდეს სოციალურად დაუცველი, სიღარიბის  
ზღვარს მიღმა ან/და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე  
სტუდენტთა სწავლის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსება;
3. ფონდს განკარგავს აკადემიური საბჭოს №406 დადგენილებით შექმნილი  
სეციალური კომისია;

**სპიკერი:** წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის ვადის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №443 – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** საკითხი ეხება სტუ-ს სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის ვადას, კერძოდ, 2011-2012 სასწავლო წლიდან სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის ვადა, ნაცვლად დღეს არსებული ორი ეტაპისა, დაიყოს ოთხ ეტაპად.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

### გ ა დ ა ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის ვადის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება №443.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №443, კერძოდ, 2011-2012 სასწავლო წლიდან, სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის ვადა, ნაცვლად დღეს არსებული ორი ეტაპისა, დაიყოს ოთხ ეტაპად.

**სპიკერი:** ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმოგიდგენს კიდევ ერთ საკითხს, კერძოდ, სტუ-ს ბალანსზე რიცხული რენტბენის დანადგარის

D POH-3M, სარგებლობის უფლებით, ბალანსიდან ბალანსზე სსიპ-სოსუმის იღია  
გეპუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტისთვის გადაცემის შესახებ.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს ბალანსზე  
რიცხული რენტგენის დანადგარის D POH-3M, სარგებლობის უფლებით,  
ბალანსიდან ბალანსზე სსიპ-სოსუმის იღია გეპუას ფიზიკა-ტექნიკის  
ინსტიტუტისთვის გადაცემის შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა ზემოთ აღნიშნული საკითხი.  
წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

### ბ ა დ ა ჭ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №14

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2011 წლის 10 მაისის №12 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა  
საკითხი სტუ-ს ბალანსზე რიცხული რენტგენის დანადგარის  
D POH-3M, სარგებლობის უფლებით, ბალანსიდან ბალანსზე სსიპ სოსუმის იღია  
გეპუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტისთვის გადაცემის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა,  
სტუ-ს ბალანსზე რიცხული რენტგენის დანადგარი D POH-3M. 1988 წელს  
გამოშვებული, საქართველო №908, სარგებლობის უფლებით ბალანსიდან ბალანსზე  
გადაუცეს სსიპ სოსუმის იღია გეპუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს, უკადოდ,  
კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სპიკერმა, პროფესორმა ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს  
წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა,  
საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა  
დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი